



ოქმი:ო37.37212181

თარიღი:06/08/2021

## ოქმი N12

### ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

2021 წელი, 30 ივლისი

ქ. ოზურგეთი

12.00 საათი -13.00 საათი

**თავმჯდომარეობდა:** დავით დარჩია-საკრებულოს თავმჯდომარე  
**ესწრებოდნენ:** საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე-  
 გ.ლურჯუმელიძე, მუდმივმოქმედ კომისიათა თავმჯდომარეები:  
 ლ.საჯაია, ლ. ბიგვაგა, გ.ჩაგანავა; მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
 ფრაქციათა თავმჯდომარეები: ტ.აროშიძე, დ.ჭაკნელიძე,  
 ბ.დოლიძე, გ.ჩავლეშვილი, გ.თოიძე; მუნიციპალიტეტის  
 საკრებულოს წევრები: მ.ჩხიკვიშვილი, ნ.ორაგველიძე, დ.მამალაძე,  
 დ.ნდინარაძე, ვ. ბერიძე, ლ.ნინიძე, პ.კილურაძე, გ. ჩავლეშვილი,  
 მ.ზოიძე, რ.სკამკოჩაიშვილი, ბ.თოიძე, ლ.კილაძე, ალ.ლონტი,  
 ჯ.თავართქილაძე, თ. ტულუში,თ.ბურჭულაძე.  
 მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის  
 პასუხისმგებელი მუშაკები, მასმედიის წარმომადგენლები.  
 სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს,  
 მიაწოდა ინფორმაცია ქვეორუმზე - 46 წევრიდან რეგისტრაცია  
 გაიარა 26 -მა, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, გააცნო  
 სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 26-ხმით.

### დღის წესრიგი

14.1.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“  
 - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 დეკემბრის N19  
 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“--ოზურგეთის მუნიციპალიტეტის  
 საკრებულოს დადგენილების მიღების შესახებ.

**მომსწენებელი: დავით დარჩია**

**თანამომსწენებელი: გია მამაკაიშვილი**

**გიორგი ჩაგანავა**

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 26 -ხმით

საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ გ.ჩაგანავამ განაცხადა,  
 რომ კომისიამ იმსჯელა და მხარს უჭერს წარმოდგენილ პროექტს.

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ლ.საჯაიამ გამოთქვა აზრი, რომ მსოფლიო ჩემპიონს ჭაბუკთა შორის ლუკა ჯავახაძეს არსებული წესის თანახმად გათვალისწინებული 1500 ლარისა გადაეცეს 3000 ლარი, კომისია კი წარმოადგენს წესში ცვლილების შეტანის პროექტს, რათა მომავალში მსოფლიო ჩემპიონებს, მიუხედავად ასაკისა, გადაეცეს ზემოთაღნიშნული თანხა. ამ წინადადებას საკრებულო დაეთანხმა.

კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვაგამ განაცხადა, რომ კომისია მხარს უჭერს პროექტს, მაგრამ არის მცირეოდენი შენიშვნებიც თანხების მუხლიდან მუხლში გადატანის გამო.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გ.ღურჯუმელიძემ განაცხადა, რომ პროექტი შემოვიდა ვადების დარღვევით, ელექტროენერჯის ხარჯების ზრდას განაპირობებს საბავშვო ბაღებში ელექტროქურების დამონტაჟების აუცილებლობა, მოსალოდნელია მე-4-ე კვარტალში მუნიციპალიტეტის ა(ა). ი.პ-ში დაფინანსების პრობლემის შექმნა, რაც გათვალისწინებულ უნდა იქნას. დადებითია ის, რომ ბიუჯეტი მნიშვნელოვნად იზრდება.

41.2. „ქ.ოზურგეთში რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიის (დოლიძისა და ბოლქვაძის ქუჩები) რეაბილიტაციის საპროექტო იდეის მოწონების თაობაზე“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ალექო მამეშვილი**

**ლავრენტი ბიგვაგა**

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 26 -ხმით

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვაგამ განაცხადა, რომ კომისია მხარს უჭერს პროექტს, ამასთან გამოთქვა აზრი, რომ განკარგულებაში ჩაიწეროს არა „პროექტის“, არამედ „საპროექტო იდეის“ მოწონება, რასაც საკრებულო დაეთანხმა.

42.3. „ქ.ოზურგეთში მ.კოსტავას ქუჩის რეაბილიტაციის საპროექტო იდეის მოწონების თაობაზე“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ალექო მამეშვილი**

**ლავრენტი ბიგვაგა**

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 26 -ხმით

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვაგამ განაცხადა, რომ კომისია მხარს უჭერს პროექტს, ამასთან გამოთქვა აზრი, რომ განკარგულებაში ჩაიწეროს არა „პროექტის“, არამედ „საპროექტო იდეის“ მოწონება, რასაც საკრებულო დაეთანხმა.

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ლ.საჯაიამ გამოთქვა აზრი, რომ საპროექტო განაცხადში შესულიყო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების რეაბილიტაცია და ეზოებში დასასვენებელი ადგილების მოწყობა, განმარტეს, რომ გაითვალისწინებენ ფინანსების საკმარისობის შემთხვევაში.

43.4. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2020-2021 წლებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე“-- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების შესახებ.

### **მომხსენებელი: დავით დარჩია**

### **თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა**

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 26-ხმით

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვავამ განაცხადა, რომ კომისია მხარს უჭერს პროექტს.

საკრებულოს წევრმა ნ.ორაგველიძემ აზრი გამოთქვა ანასეულის დასახლებაში შიდა და ცენტრალური გზის რეაბილიტაციის თაობაზე.

საკრებულოს წევრმა მ.ჩხიკვიშვილმა ,გამოთქვა აზრი ძიმითის გადასახვევიდან დვებზემდე და გაღმა დვებზეუს ცენტრიდან დაბა ნასაკირალამდე გზების რეაბილიტაციის შესახებ.

საკრებულოს წევრმა თ.ტულუშმა განაცხადა სოფელ ნატანებში იუსტიციის სახლთან ცენტრალური გზის დაზიანების შესახებ.

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის დახურვის შემდეგ განცხადებები გააკეთეს საკრებულოს წევრებმა თ.ტულუშმა „ციცინათელას“ საექიმო ამბულატორიასთან, სადაც კოვიდაცრები კეთდება, ბარიერების მოწყობის, ხოლო ხოლო ნ. ორაგველიძემ ანასეულის დასახლებაში მიუსაფარი ძაღლების პრობლემის შესახებ.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

